13

F550 ~ 7452

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაჟთოშლო. დიდის მუქუი, აჩ გაიცვლებინ სხვაზედა..

# ოდიში

1991
სამშაბათი
2
ივლისი
№78 (10471)
ფასი 5 კაპ.

ზუგდიდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესია

28 ივნისს გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომა, რომელსაც უძღვებოდა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია და რესპუბლიკის მთავრობის წევრები.

დღის წესრიგის პირველი პუნქტი იყო „საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის შესახებ" კანონის პროექტის საკითხი, რომლის გამოც გამოვიდა უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარე ნუგზარ მოლოდინაშვილი. ამ კანონპროექტის განხილვის შემდეგ დეპუტატებმა იგი მიიღეს პირველი მოსმენით.

აზრთა საფუძვლიანი გაზიარება გაიმართა „სამეწარმეო საქმიანობის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტის განხილვის დროსაც. ეს პროექტი წარმოადგინა უზენაესი საბჭოს ეკონომიკური რეფორმის მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ გივი თაქთაქიშვილმა, რომელმაც ყურადღება გაამახვილა მისი გამოქვეყნების შემდეგ მიღებულ შენიშვნებსა და წინადადებებზე. ამ პროექტის მთელი რიგი დებულებების გამო დეპუტატთა თვალსაზრისი გაიყო. სიტყვა აიღო საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ წარმოდგენილი კანონპროექტი სრულყოფილი არ არის, დეტალურ დახვეწას მოითხოვს ამჟამად შექმნილი ვითარების შესაბამისად რესპუბლიკაში, რომელსაც ჯერჯერობით არ მოუპოვებია ფაქტობრივი დამოუკიდებლობა. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის აკაკი ასათიანის წინადადებით ეს კანონი მიიღეს მხოლოდ პირველი მოსმენით.

უზენაესმა საბჭომ პირველი მოსმენით მიიღო აგრეთვე ამ დღეებში საყოველთაო სახალხო განხილვისათვის გამოტანილი „საგადასახადო სისტემის ზოგადი საფუძვლების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტი, აგრეთვე უზენაესი საბჭოს მუდმივი საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ტარიელ გელანტიას მიერ წარმოდგენილ კანონპროექტთა პაკეტი საქართველოს რესპუბლიკაში საბანკო-საფინანსო სისტემის შესახებ. ეს არის კანონები ეროვნული ბანკის, ბანკებისა და საბანკო საქმიანობის, ფულადი სისტემის, ფულად-საკრედიტო რეგულირების შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრმა ჯონი ხეცურიანმა კანონმდებელთა განსახილველად წარმოადგინა „ადამიანის მოტაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ", აგრეთვე „საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე" კანონების პროექტები. ყოველი მუხლის დეტალური განხილვის შემდეგ კანონები მიიღეს.

შემდეგ სიტყვა მიეცა შიდა ქართლში ვითარების ნორმალიზაციისათვის სსრ კავშირის, რუსეთის სფსრ და საქართველოს უზენაესი საბჭოების საპარლამენტთაშორისო კომისიის წევრს გელა ჩორგოლაშვილს. მან დამსწრეთ აცნობა, რომ ამ დღეებში გაიმართა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, რომელზეც დაგმეს სსრ კავშირის ზოგიერთი სახალხო დეპუტატის —ჩეხოევის, ალქსნისის, კოგანისა და სხვათა მოქმედება საპარლამენტთაშორისო კომისიის მუშაობაში მათი ჩარევის გამო. უზენაესმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება 1991 წლის 28 ივნისის 22 საათიდან ქალაქ ცხინვალის, ჯავის რაიონისა და დაბა ჯავის ტერიტორიაზე ორი თვის ვადით საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ. კომენდანტის საათის ხანგრძლივობაა 22 საათიდან დილის 7 საათამდე.

უზენაესმა საბჭომ მიიღო მიმართვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია, რომ საქართველოს რესპუბლიკა მზად არის უმოკლეს ვადაში შეუერთდეს უმნიშვნელოვანეს კონვენციებს, დეკლარაციებს, საერთაშორისო სამართლის პაქტებს, მოახდინოს მათი რატიფიკაცია.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ნემო ბურჭულაძემ გააცნო დეპუტატებს მისი მეთაურობით აფხაზეთში წარგზავნილი საპარლამენტო დელეგაციის მუშაობის შედეგები.

„დემოკრატიული ცენტრის" ფრაქციის სახელით განცხადება საქართველოში მსჯავრდებულთა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გაგზავნის დაუშვებლობის შესახებ გააკეთა დეპუტატმა ნოდარ ნათაძემ. ამ განცხადებაში ჩამოყალიბებულ ზოგიერთ საკითხს უპასუხა საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა დილარ ხაბულიანმა.

კარში „სხვადასხვა" რესპუბლიკის ცხოვრების აქტუალური საკითხები წამოჭრეს დეპუტატებმა გურამ პეტრიაშვილმა, აპოლონ სილაგაძემ და რამაზ სურმანიძემ.

სესიაზე გამოვიდნენ ჩეჩნეთ-ინგუშეთის ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ისა ქოძოევი და ფინეთის ჰელსინკის ჯგუფის გამგეობის წევრი, ჩვენი თანამემამულე რენო სირაძე, რომელმაც განაცხადა, რომ ფინეთის პარლამენტში შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის მხარდამჭერი ჯგუფი.

ამით რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგმა სხდომამ მუშაობა დაასრულა.

საქინფორმის საპარლამენტო კორესპონდენტები

---

ჩაი — 91

## სპეციალისტთა საგანგებო თათბირზე

ზუგდიდის სოფლისა და სატყეო მეურნეობის რაიონულ საწარმოო გაერთიანებაში გაიმართა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მთავარი აგრონომების საგანგებო თათბირი. მეჩაიეობაში შექმნილ მძიმე ვითარებაზე თათბირს მოახსენა გაერთიანების თავმჯდომარემ სოსო ლაზვიაშვილმა

აღნიშნა, რომ ჩაი—ეკონომიკის წყარო და ჩვენი ხვალინდელი დღეა. ის პრაქტიკული ნაბიჯები, რაც ამ მიმართულებით დღემდე გადაიდგა სრულიად არასაკმარისია. საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელებმა ხელიდან გაუშვეს ძვირფასი დრო, დაყოვნდა პირველი ვეგეტაციის ჩაის გადაკრეფა, საქმე გვაქვს დიდძალ დანაკარგებთან, რაც საგანგებო ღონისძიებების გატარებას მოითხოვს.

დამოუკიდებელ საქართველოს ძლიერი ეკონომიკა რომ სჭირდება დღეს არ უნდა საჭიროებდეს განმარტება. ჩაის კულტურისადმი გულგრილი, არასრულფასოვანი დამოკიდებულება ღალატის ტოლფასია. რაიონი 5-6 პროცენტით ჩამორჩება რესპუბლიკის მაჩვენებელს, არადა სამეულმა ზუგდიდის, ოზურგეთისა და ქობულეთის რაიონებმა უნდა თქვან გადამწყვეტი სიტყვა ჩაის წარმოების საქმეში.

არსებულ მდგომარეობას, ამ მტკივნეულ საკითხს, მრავალი ასპექტი გააჩნია, რომელთა შორისაა აგრონომის ინსტიტუტის მოუქნელი მუშაობა, სპეციალისტების არაჯანსაღი დამოკიდებულება მეარენდეებთან, ავტორიტეტის შელახვა და სხვა.

თათბირზე დაუფარავად ითქვა, რომ აგროსამსახური მოშლილია ტყაიას, ჩხორიის, რუხის, ჰაქვინჯის, ცაიშის, ურთის, რიყის და სხვა რიგ საზოგადოებრივ მეურნეობებში.

ჩაის ნედლეულის დამზადების საქმეში გულგრილობა, ზერელობა, მოსავლის მოსალოდნელი პროგნოზისადმი შორიდან ყურება, ანაზღაურებაში გაუთავებელი დავა და შრომის არასწორი ორგანიზაცია, კერძოდ, როდესაც მეურნეობის აპარატში სამუშაო საათებში კაციშვილი არ არის, როდესაც ბრიგადაში ბრიგადირი და მწონავი თუ არენდატორი საძებნელია და როცა მათ მოვალეობას მძღოლი ან მტვირთავი ასრულებს, რომელ შრომის ორგანიზაციაზეა ლაპარაკი, სამწუხაროდ, ეს ბევრგან შეინიშნება და საგრძნობ დაღს ასვამს საერთო საქმეს.

დღევანდელ საქართველოს, მის არჩეულ პარლამენტს სჭირდება ჯანსაღი სულის ადამიანები, სპეციალისტები, რომლებიც მოჩვენებითად კი არა საქმით ამოუდგებიან მხარში დღევანდელ მთავრობას.

ყველამ რომ თავისი საქმე გააკეთოს, საპრობლემო არაფერი დაგვრჩება. შეგნების ამაღლება შეგვაძლებინებს შეუძლებელს. მართალია დღეს ზემოდან საზოგადოებრივ მეურნეობებს ვეგმებს არავინ კარნახობს მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ გულზე ხელები დავიკრიფოთ და დინებას მივანდოთ საერთო საქმე.

მთავარი აგრონომი ეს მინდვრის ოსტატია, ეს ის ფიგურაა, რომელმაც უნდა უხელმძღვანელოს და ამასთან პასუხი აგოს ყველა იმ აგროტექნიკურ ღონისძიებათა გაუტარებლობაზე, რაც თან ახლავს სამწუხაროდ, სადღეისოდ მინდვრისა და პლანტაციების სამუშაოებს.

ობიექტური და სუბიექტური მიზეზების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. საქმისადმი პრაქტიკულმა მიდგომამ უნდა გადაწყვიტოს სადღეისო ნომერ პირველი ამოცანა: უსწრაფესად დამთავრდეს ჩაის პირველი ვეგეტაციის მეორე გადაკრეფა. მინიმუმამდე დავიყვანოთ დანაკარგები, თუ არადა პასუხი ვაგოთ მოვალეობისადმი გულგრილი დამოკიდებულებისათვის.

თათბირზე სიტყვით გამოსულმა მთავარმა აგრონომებმა პირობა დადეს ქმედითი ღონისძიებები განახორციელონ მეჩაიეობაში არსებული ჩამორჩენის დასაძლევად.

სადღეისოდ რაიონში არსებული პლანტაციების 15 პროცენტზე მეტი მოითხოვს პირველი ვეგეტაციის ჩაის ფოთლის გადაკრეფას, რაც მოკლე დროში უნდა იქნას უზრუნველყოფილი.

თათბირზე აღინიშნა: ახალაბას თუმნის, ნარაზენის, ჯიხაშკარის კოლმეურნეობებში, ინგირისა და ზედაეწერის მეურნეობებში არსებულ შრომის მაღალ ორგანიზაციაზე, მათი ხელმძღვანელების საქმიან დამოკიდებულებაზე დარგისადმი, რაც მაის-ივნისის შედეგებში გამოვლინდა.

თათბირს ესწრებოდა და სიტყვით გამოვიდა ზუგდიდის პრეფექტის მოადგილე პაატა ჩუხუა.

* * *

თათბირს მოხსენდა ერთწლიანი კულტურების აგროტექნიკური დამუშავების საკითხში ჩატარებულ ღონისძიებებზე, მეცხოველეობისათვის ადგილობრივი საკვები ბაზის შექმნის, და რაიონში აბრეშუმის პარკის სახელმწიფოსათვის ჩაბარების მიმდინარეობის შესახებ.

საქართველოს ... ბიბლიოთეკა

იონა მეუნარგიას ხსოვნას

# ის დღესაც ჩვენს გვერდითაა

იონა მეუნარგიას გახსენების დღეებია, საკმაოდ ბევრი იღვაწა სამწერლო, თუ საზოგადოებრივ ასპარეზზე ამ სასიქადულო მამულიშვილმა, და ამიტომაც მადლიერი შთამომავლები კუთვნილ პატივს მიაგებენ მის სახელს.

ამ ბოლო წლებში ზუგდიდში წესად დამკვიდრდა: მისი დაბადების თარიღის მოახლოებისას დავიწყებდით საგანგებო ფაციფუცს, არაქათის გამცლელ ვნებათა ღელვას. საიუბილეო დღეების თადარიგს თან სდევდა ერთგვარად გამაღიზიანებელი ხმაური, ჟრიამული, ნერვიული ატმოსფერო. რაღა თქმა უნდა, ყოველივე ამას ახლდა შინაგანი ალტკინების, სულიერი თვითკმაყოფილების მუხტიც. ამის არ თქმა უმადურობა იქნებოდა. სანაქებო ერისკაცს აკვნის დამრწევი სოფელი და რაიონი მისაგებელს მიაგებდა. მაგრამ რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ თითქოს და საზეიმო ბატალიებს ვიღაცის წინაშე თავის მოწონებისათვის ვმართავდით. თვით მასშტაბი და სახე დღესასწაულისა თითქოს ხელოვნურად იყო მოხმობილი. ღრმად ვარ დარწმუნებული: თავად სულგანათლებული იონა მეუნარგია, მოგვიტევოს მისმა წმინდა აჩრდილმა და, მოწმე რომ ყოფილიყო ამდაგვარი პომპეზურობისა, შეწუხდებოდა, წინ აღუდგებოდა კიდეც.

ამას იმიტომ არ ვამბობთ, რომ ვინმეს გული ვატკინოთ. მწერლის ხსოვნისადმი მიძღვნილ შეხვედრებს მისი ინიციატორები სიყვარულსა და პატივისცემას აქსოვდნენ. მაგრამ ამიერიდან მადლიერების გამოხატვის სულ სხვანაირ, უფრო ღირსეულ და სრულყოფილ ესთეტიკურ ფორმებს თუ მივმართავთ, გაცილებით უფრო კეთილ ნაყოფს მოვიმკით.

დიახ. ბატონ იონა მეუნარგიას ხსოვნის დღეებია, რა თქმა უნდა, ზუგდიდი და მეტადრე მისი აკვნის დამრწევი ცაიში წლეულსაც კეთილად მოიგონებს თავის საყვარელ შვილს.

როცა თვალს გადაავლებ ჩვენი თანამემამულის მიერ განვლილ ნათელ გზას, მის ნაფიქრსა და ნააზრევს, სურვილი გიჩნდება გუნებაში მესხეულად გაჩენილ ოდნავ რიტორიკულ კითხვებს პასუხი გასცე:

**რატომ ვაფასებთ ბატონ იონა მეუნარგიას?** უპირველეს ყოვლისა სულიერი სისპეტაკისა და უანგარობისათვის. ამ გულმხურვალე პატრიოტს ერთი წუთითაც ვერ წარმოედგინა, რომ სამშობლოსათვის მსახურება შეიგუებდა სინდისთან კომპრომისს, ან ჭარბ ამბიციებს. ქართველ პლუტარქედ მონათლულ კალმოსანს, შესანიშნავი ლიტერატურული ნარკვევების, ესეების, თარგმანების ავტორს, იმჟამინდელი ევროპის ცნობილ საზოგადოებრივ, თუ პოლიტიკურ მოღვაწეებთან ნამეგობრალ ადამიანს ერთი წუთითაც არ ტოვებდა თავმდაბლობის ღვთითმომადლებული გრძნობა. სხვას რომ თავი გავანებოთ, მარტო ჩვენი ფასდაუდებელი განძის „ვეფხისტყაოსნის" ფრანგულ ენაზე თარგმნისათვის, ან წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საშვილიშვილო საქმიანობაში გაღებული ღვაწლისთვის ეკუთვნის მას ერის მადლობა.

**რატომ გვიყვარს ბატონი იონა?** ალბათ იმიტომ, რომ თავისი მშობლიური, ძირძველი ცაიშიდან ერთიანი საქართველოს, თავისუფლებისა და დემოკრატიის იდეალებს აღერებდა. ხმალ ამოღებული ებრძოდა ამორდიას ტიპის შავრაზმელ ვაიქართველებს, რომელნიც ცარიზმის წაქეზებით საქართველოს გათიშვას ლამობდნენ.

**რით გვხიბლავს ბატონი იონა?** ისევ და ისევ თავისი უბრალოებით, მოქალაქეობრივი სისადავით. ხომ ამდენს შრომობდა, ფიზიკური და სულიერი ძალების მაქსიმალური გაღებით, სამური რუდუნებით. ხომ თავისი წონადი წვლილი შეიტანა ქართველთა ეროვნული თვითშეგნების ამაღლების საქმეში, მაგრამ თავი არასდროს არ აუწევია. თვინიერი და მშვიდი ლაბა ხარივით ეწეოდა თავის წილ ჭაპანს. და ამ მხრივაც სამაგალითო უნდა გახდეს იგი ბევრი ჩვენი თანამემამულისთვის, ვისაც ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობაში თავისი პაწაწინა წვლილის უზომოდ გაზვიადება სჩვევია.

**და ბოლოს, რით შეუძლია დღევანდელ ცაიშს თავი მოიწონოს თავისი სახელოვანი შვილის წინაშე?** ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობაში თავისი გამოკვეთილი წვლილით. აგრეთვე ამ კალთანაკურთხი ულამაზესი სოფლის კეთილი და გამრჯე ადამიანებით, რომელთაც სული ავსებული აქვთ ცაიშის ულურჯესი ცისა და ქრისტიანული სიყვარულის ნათელით.

და ამ ძირძველ, კოპწია სოფელში მარადჟამს იკიაფებს უწმინდესი სულიერი კერა — იონა მეუნარგიას სახლ-მუზეუმი. ეს ის ერთგვარი მექაა, რომელსაც მხოლოდ ფეხაკრეფით, სუფთა ხელებით და დაწმენდილი ფიქრით უნდა მიუახლოვდეს ყოველი ჩვენგანი.

ჩვენ და მიკრო კლიმატი

# კუთვნილ ყურადღებას იმსახურებს

არნახული მასშტაბის ღონისძიებებს ეჭიდება ჩვენი ხალხი ავად სახსენებელი ავტორიტარული რეჟიმით დაუძლურებული ეკონომიკისა და კულტურის აღორძინებისათვის. დიდ საქმეს ძლიერი მხრები, ღონიერი მკლავი ჭირდება. მაგრამ ამ საქმეში უზომო მნიშვნელობა აქვს განწყობის, შინაგანი კმაყოფილების ფაქტორს. ვიძახოთ, შეჭირვებული ყოფა გვაქვს და სულიერი გართობა—დასვენებისათვის ვისღა სცალიაო, —არ იქნება სწორი. პირიქით, დამღლელ სტრესებს კეთილი ტონუსი, დადებითი ემოციები უნდა დავუპირისპიროთ. ამდენად, ეროვნული განახლების მრავალმხრივი პროცესი არ უნდა წარმოვიდგინოთ ადგილებზე კულტურული ღონისძიებების გარეშე. სულიერი, ესთეტიკური მიკრო გარემოს შექმნა ძალზე სერიოზულ სოციალურ ამოცანად უნდა მივიჩნიოთ.

იქ, სადაც მხატვრულ თვითმოქმედებას პატივს არა სცემენ, წრეები ქაღალდზე არსებობს, სტაბილური ეკონომიკური მაჩვენებლებიც იშვიათობაა. არც იმ საწარმოსგან მოელოდე რაიმე წარმატებას, სადაც მშრომელი აღიქმება, როგორც მხოლოდ მექანიკური ერთეული.

თავის დროზე ქალაქისა და რაიონის რიგ ორგანიზაციებს და დაწესებულებებს გარკვეული ტრადიციები ჰქონდათ ამ მიმართულებით. საჭიროა კვლავაც აღვადგინოთ ყოველივე ეს და მივცეთ კულტ-მასობრივ ღონისძიებებს უშუალო, ადამიანური სახე.

პომპეზური, იდეოლოგიზირებული ღონისძიებების დრო წავიდა. საღამო-შეხვედრებს უნდა დაუბრუნდეს პირველყოფილი ხიბლი, ესთეტიკური ელფერი. ამდაგვარი საღამოები თავისთავად მოახდენს კეთილმყოფელ გავლენას მაყურებელზე.

ამიტომაც ღირს კუთვნილ ყურადღებას ვუთმობდეთ მხატვრულ თვითმოქმედებას.

ლ. ქოლოხავა,
ჩვენი კორ.

სოფლის სიახლენი

# გაიზრდის შრომისნაყოფიერებას

ჩაის გადამუშავების საქმის გაუმჯობესების მიზნით სოფელ ოქტომბერში დაიწყო ჩაის მიკროფაბრიკის მშენებლობა. ნაჭვის უბანში მშვენიერ ადგილზე შეირჩა მისთვის ადგილი. სამუშაოებს ხელმძღვანელობს კარლო ქობალია. შენობის ხარისხიანობისათვის ზრუნავენ ველოდი შამუგია, ბორის გოროზიანი, თამაზ ზარქუა და სხვები. მათი ნახელავი მისაბაძია.

მშენებლების მიზანია, 1992 წელს ჩაის სეზონის გახსნისათვის გაუშვან ექსპლოატაციაში ფაბრიკა.

ახალი ფაბრიკა კოლმეურნეობის ოთხივე უბანს მოემსახურება შეუფერხებლად, რაც გაზრდის მეჩაიეთა შრომისნაყოფიერებას.

ა. შამუგია.

მშობელთა პედაგოგიზაციისათვის

# გავუფრთხილდეთ მოზარდის ემოციებს

ემოციონალური ცხოვრება წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე უმთავრეს და უბრწყინვალეს გამოვლინებას ადამიანის სამყაროსი. პედაგოგიკის კლასიკოსები ი. გოგებაშვილი, კ. უშინსკი, ვ. სუხომლინსკი და სხვები მას ადამიანის, მოზარდის გრძნობის კულტურასთან აკავშირებენ.

ემოციონალური ცხოვრების სიმდიდრე არ არის დამოკიდებული მოზარდის გონებრივ განვითარებასთან, განათლებასთან, ცოდნასთან. განათლებისა და ემოციონალური კულტურის ჰარმონია—აი, რა არის თანამედროვე სკოლის, ქართული ეროვნული ზოგადსაგანმანათლებლო აღზრდის ამოცანა. მისი ჩამორჩენა ინტელექტუალური კულტურისაგან დიდი ბოროტებაა, რომელიც ხშირად იმის მიზეზით ხდება, რომ ზოგიერთი მოზარდი ყოფაქცევის არასწორ გზას ადგას, თუ აღმზრდელები ღრმად ჩავუფიქრდებით მოზარდის ქცევისა და ცხოვრების არსს, მაშინ ჩვენთვის ნათელი გახდება, რომ ეგრეთწოდებული წარსულის გადმონაშთები ჩვენში—ეს არის ინტელექტუალური ცხოვრებისა და ემოციონალური კულტურის ჰარმონიის სრული დარღვევა. ზოგ შემთხვევაში ეს დაკავშირებულია ღარიბ, შეზღუდულ გონებრივ ინტერესებთან, ხოლო სხვა შემთხვევებში ემოციური კულტურის განვითარების უგულებელყოფასთან. ამჟამად პედაგოგთა, აღმზრდელთა, მშობელთა შორის ხშირად გაისმის საჩივრები: ახლანდელ დროში ძნელია მოზარდის აღზრდაო. ძნელია იმიტომ, რომ ისინი სკოლის გარდა სხვა წყაროებიდან ღებულობენ ბევრ ინფორმაციას. საჭიროა კი ყველაფერი ეს გავითვალისწინოთ, „გადავხარშოთ". ძნელია აღზრდა კიდევ იმიტომ, რომ შეუდარებლად გაიზარდა მათი ყურადღება საკუთარი სულიერი სამყაროსადმი.

მოზარდს, როგორც ცნობილია, შეუძლია ბევრი შეიმეცნოს. მაშასადამე, მისი სულიერი ცხოვრების განსაკუთრებულობა შეიძლება გამოვიყენოთ ისე, რომ ეს ცნობისმოყვარეობა ხელს უწყობდეს ამავე დროს მის სულიერ, კულტურულ განვითარებას. აღზრდის საფუძველი დამოკიდებულია ბავშვის წარმოდგენაზე ადამიანის შესახებ, ეფექტურობა კი იმაზე, თუ როგორ იქცევა ეს ცოდნა რწმენად, როგორ მტკიცდება ეს რწმენა ყოველდღიურ საქმიანობაში. საკუთარი ღირსების გრძნობის განცდა პიროვნებისთვის ხდება იმ სხივებად, რომელიც მიმართულია საკუთარი სულისაკენ. საჭიროა, რომ ეს სხივები არასოდეს ქრებოდეს. ამ სხივების ჩანერგვა აღმზრდელს აკისრებს დიდ პასუხისმგებლობას, მოითხოვს მისგან განსაკუთრებულ ოსტატობას ადამიანთმცოდნეობის სფეროში.

პედაგოგს მოეთხოვება არა მარტო გულისხმიერება და ყურადღება, არამედ ზუსტად გაერკვეს თითოეული მოზარდის ფიქრებში, მათ სულიერ სამყაროში. მიზანია, რომ მათი აზრები და შეხედულებები იყოს წრფელი და მაღალიდეური. ეს კი მოითხოვს მრავალი წლის დაუღალავ შრომას, რათა მათში აღვძრათ ფიქრები საკუთარ თავზე, საკუთარი ქცევის განსჯა ვასწავლოთ.

საკუთარი თავისადმი პატივისცემის გარეშე არ მიიღწევა პიროვნების მორალური სიწმინდე და სულიერი სიმდიდრე. ჩვენი მნიშვნელოვანი პედაგოგიური ინსტრუმენტი ამ შემთხვევაში არის ადამიანის პიროვნებისადმი ღრმა პატივისცემა. ამ ინსტრუმენტით ჩვენ მოწოდებული ვართ შევქმნათ ძალიან საჭირო რამ, სურვილი აღსაზრდელისა, იყოს დღეს უკეთესი, ვიდრე გუშინ. ეს სურვილი ვერ აღიძვრება თავისთავად, იგი უნდა აღვზარდოთ. აი რას წერს ვ. ა. სუხომლინსკი: „აღსაზრდელის პიროვნებისადმი პატივისცემას კანონზომიერად მიჰყავს წარმოსახვა პირადის, ინტიმურის, შეუხებლის გაფართოებისაკენ. თანამედროვე ადამიანის სულიერი ცხოვრების ლოგიკა მოითხოვს, რათა ამ სფეროში ჩავრთოთ ყველაფერი, რაც დაკავშირებულია ბავშვის, მოზარდის, ყმაწვილებისა და მშობლების ურთიერთდამოკიდებულებასთან".

მოზარდთა ემოციონალური სფეროს გაუხეშება ხშირად მოსდევს უტაქტობას. მშობელთა კრებებზე ხშირად იხილება ისეთი საკითხები, რომელთა შესახებ შეიძლებოდა მსჯელობა ინდივიდუალურად მშობლებთან. თომას მანის სიტყვები გვახსენდება: „ადამიანი დგას მხეცებსა და ანგელოზებს შორის. ვინ იქნება ის—დამოკიდებულია აღზრდაზე. მხეცებთან მიახლოებისა და ანგელოზებისაგან განშორების საშიშროება ემუქრება ადამიანს იქ, სადაც არ არის დაცული მისი სქესობრივი ინსტინქტი". აქ მთავარია დედის კულტი და ბრძნული დარიგებები, რადგან დედის გავლენა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოზარდისადმი. ამ პერიოდში სკოლამ და მშობლებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ, რათა აღსაზრდელებმა მთელი თავიანთი სულიერი ძალები მოახმარონ დედის ბედნიერებასა და სიკეთეს, მოუტანონ მას მხოლოდ სიხარული.

ამრიგად, სკოლისა და ოჯახის მოვალეობაა მოზარდობის, ყრმობის წლები გამოიყენონ მათი ემოციონალური კულტურის აღზრდისათვის. აი, რატომაა მნიშვნელოვანი აღზრდაში გავითვალისწინოთ ემოციონალურისა და ინტელექტუალურის მტკიცე კავშირი, რათა აღზრდამ სასურველი შედეგი მოგვცეს.

ალექსანდრე ღურწკაია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ თაყამინდელ კოლხურ მთვარესავით ამშვენებდა ჩვენს ქალაქს, სრულიად საოდიშოს.

გამოჩნდებოდა თუ არა ტაატით მიმავალი ზუგდიდის ქუჩებში, ჩვენ, მაშინ თორმეტ-თხუთმეტი წლის ყმაწვილები, შორ ახლო ავედევნებოდით კრძალვანარევი ცნობისწადილით აღსავსენი.

და განა მხოლოდ ჩვენ?—ნაცნობ-უცნობთა აღტაცებული თვალი მზერა მიაცილებდა ჩოხა-ახალუხში გამოწყობილ, სათნო სახის, ქათქათა წვერით განსხვავებულ მოხუცს. იმ დროს, ღვთის წყალობით, ბოტანიკურ ბაღსა თუ ჭადრების ხეივანში ჯერაც შეგეძლოთ გენახათ უმშვენიერესი სურათი —ერთად მობაასე და მოლაღობე ბატონი კაკა და ბატონი გვანჯი ჩიქოვანი, სხვა ჩოხოსან დროულ კაცთა „ამალის" თანხლებით.

ზუგდიდში ლეგენდები დადიოდა ორივე მათგანზე. საბედნიეროდ, ნამდვილი ამბები უფრო მეტი იყო, ვიდრე მოგონილი. იმ დროს ხელისუფლება დიდად არ წყალობდა „ძველი გვარდიის" წარმომადგენლებს და ამიტომაც ფართო საზოგადოებრიობა, განსაკუთრებით ახალი თაობა, ჯეროვნად არ იცნობდა ორი კოლორიტული ფიგურის—კაკა ქვანიასა და გვანჯი ჩიქოვანის რთულ, ქარტეხილებით აღსავსე ცხოვრებისეულ გზას. ვერანაირმა ხელოვნურმა ბარიერმა ვერ დაამცრო მაინც მათი სახელების პოპულარობა. კაკასა და გვანჯის ფრთიანი სიტყვა-თქმანი, ოხუნჯობანი, ლექსები სწრაფად ვრცელდებოდა ხალხში... ჭეშმარიტად, ოქროპირები ბრძანდებოდნენ ორთავენი!

ბატონი კაკა...

სამწუხაროდ, დღევანდელმა თაობამ, ახალგაზრდობამ ცოტა რამ, ან თითქმის არაფერი იცის ამ დიდებული მამულიშვილის შესახებ. თავს უფლებას მივცემ ეს ხარვეზი ნაწილობრივ მაინც გავასწორო, ხოლო თუ სიტყვა იმ წონისა და ღირსებისა ვერ ვთქვა, ვინძლო ბატონი კაკას სახელსა და ღვაწლს რომ ვერ შეეფერის, დღეს, მამატიოს მისმა აჩრდილმა უნებლიე შეცოდებანი.

# „მე კოლხი ვარ, ასი წელი ვარწიე..."

კონსტანტინე (კაკა) დიმიტრის ძე ქვანია დაიბადა 1875 წელს ზუგდიდში. აქვე ექვსკლასიანი სასწავლებლის —გიმნაზიის დამთავრების შემდეგ გაუვლია სოხუმის პედაგოგიური კურსები და დაუნიშნავთ ჰითაწყარის (დღევანდელი დავით აღმაშენებლის ქუჩის ბოლოს მდებარე) ოთხწლიანი სკოლის მასწავლებლად. იგი აქ 18 წელიწადი მოღვაწეობდა და როგორც მოძღვარსა და დიდბუნებოვან ადამიანს, აღსაზრდელებისა და მოსახლეობის დიდი სიყვარული დაუმსახურებია. თვითმპყრობელობის ჟანდარმულ ხანაში კონსტანტინე ქვანია, რამდენადაც შეეძლო, ქართული კულტურის, მშობლიური ენის დამცველად და ქომაგად გამოდიოდა.

1914 წელს კ. ქვანია გაიწვიეს პირველ მსოფლიო ომში. იბრძოდა თურქესტანის მე-20 მსროლელი პოლკის შემადგენლობაში. აქ მას დაუმსახურებია კაპიტნის ჩინი. იმ დროის ოფიციალური ცნობით ირკვევა, რომ სახელმოხვეჭილი ოფიცერი ბრძოლებში არაერთგზის დაჭრილა; 1916 წლის 20 დეკემბერს, მძიმედ დაჭრილი დაუტყვევებიათ გერმანელებს... დაჯილდოებული იყო „წმინდა ანას", „წმინდა გიორგის", „ვლადიმირისა" და „სტანისლავის" ორდენებით, ორი სახელობითი ხმლით.

კ. ქვანია 1918 წელს უბრუნდება მშობლიურ კუთხეს, უყოყმანოდ დგება თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველოს სამსახურში. მისი საბრძოლო გამოცდილება, ნიჭი და მამაცური შემართება ხმარდებოდა ახალგაზრდა რესპუბლიკის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას, ერის ნათელ [illegible].

არ ეძინა საქართველოს უვერაგეს და ცბიერ მტერს—ბოლშევიკურ წითელ რუსეთს იმ დროს, როცა ლენინ სტალინის ლოცვა-კურთხევით მტრის ურდომ ერის მოღალატე სერგო ორჯონიკიძისა და მისი სეხნია კიროვის წინამძღოლობით საქართველოსაკენ აიღო გეზი, ბატონი კაკა სოხუმში, შავი ზღვის სანაპირო დაცვის ქართული ჯარების ერთ-ერთი ნაწილის უფროსი იყო. თავის მებრძოლებთან ერთად მეცხრე წითელი არმიის წინააღმდეგ უთანასწორო ომში გამოუჩენია დიდი სიმამაცე და თავდადება. მაგრამ, როგორც იტყვიან, ძალა აღმართს ხნავს. „წითელი ჭირი" დაეპატრონა თავისუფლების მზენახავ მიწა-წყალს. ნოე ჟორდანიას მთავრობას კაკასთვისაც შეუთავაზებია ემიგრაციაში გახიზვნა, მაგრამ ამ უკანასკნელს მტკიცე უარი უთქვამს.

როგორც ცნობილია, 1924 წლის აჯანყების დამარცხებას სისხლიანი რეპრესიები მოჰყვა. ბატონი კაკა არ იყო არც ერთი პარტიის წევრი, მაგრამ მისი გულმხურვალე მამულიშვილობა, მისწრაფებანი და არცთუ შორეული წარსულის „ცოდვები" წყალშეუვალ საფუძველს იძლეოდა ყოფილი ოფიცრის დასახვრეტად. ეს ადვილად შეიძლებოდა მომხდარიყო, ამიტომ ორი თვე ტყეს აფარებდა თავს...

კაკა ქვანია აქტიურად იყო ჩართული ზუგდიდის კულტურული ცხოვრების ფერხულში. ახლოს იცნობდა და მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ისეთ დიდ ადამიანებთან, როგორებიც ბრძანდებოდნენ კონსტანტინე გამსახურდია, ლეო ქიაჩელი, აკაკი ხორავა, შოთა მესხია და სხვები. ბატონი კაკა ხალხური სიმღერების ჩინებული მცოდნე და შემსრულებელი გახლდათ. მას უმღერია სახელგანთქმულ მომღერალ ლოტბარებთან: ძუკუ ლოლუასთან, ძმ. ხავით შეზრდილ კიწი ბეგბეკორთან, კირილე პაჭკორიასთან, გალაქტიონ ჭელიძესთან, აროდი კალანდიასთან. ხანდაზმულ ზუგდიდელთაგან დღესაც ბევრს ახსოვს ზუგდიდის თეატრში მიხეილ ჩიხლაძის, ივანე ჩიმხიასა და კაკა ქვანიას მიერ ბრწყინვალედ შესრულებული ძველი მეგრული სიმღერები. იყო უბადლო მოქართულე, რუსული ენის ჩინებული მცოდნე და პოეზიის დიდი მეტრფე.

ცალკე საუბრის თემაა ბატონი კაკას პოეტური მემკვიდრეობა. ბევრი მისი ლექსი გამოქვეყნებულია იმ დროის პრესაში, ბევრმაც ასახვა ჰპოვა გალაქტიონ ჭელიძისა და ბენგლარ აკობიას სასიმღერო რეპერტუარში. მეგრულ ენაზე დაწერილი ლექსები შეტანილი აქვთ თავიანთ წიგნებში ცნობილ მკვლევარ-ფოლკლორისტებს კალისტრატე სამუშიასა და აწგანსვენებულ პროფესორს ტოგო გუდავას. ბატონმა კაკამ მეგრულ ენაზე თარგმნა დიდი შოთას „ვეფხისტყაოსანი". ამ ფაქტთან დაკავშირებით მინდა მოვიყვანო უთვალსაჩინოესი მეცნიერ-ავტორიტეტის, ბატონ აკაკი შანიძის მიერ თავის დროზე თქმული სიტყვები: „მარტო ის რად ღირს, რომ ზუგდიდის ჭადრების ხეივანში გაივლის კაკა ქვანია და თავისი დათაფლული მეგრულით ამეტყველებს გენიოს „შოთას". მანვე რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის საიუბილეო საღამოზე, ზუგდიდის შ. დადიანის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, გულთბილი სიტყვების შემდეგ ზეპირად წარმოსთქვა (მეგრულად) ცალკეული სტროფები კაკას ლექსებიდან და ნაწყვეტები „ვეფხისტყაოსნიდან".

ბატონმა კაკამ და მისმა სათნო მეუღლემ, ქალბატონმა აგუტა ცომაიამ ხუთი ვაჟიშვილი აღუზარდეს სამშობლოს: შალვა, დავითი, ირაკლი, ლეო და ვაჟა...

მშობლებმა ხუთივეს მიაღებინა უმაღლესი განათლება. დავითი და ვაჟა უდროოდ გამოეცალნენ ამ წუთისოფელს. შალვა ქვანია, ცნობილი აგრონომი ათეული წლების განმავლობაში მოღვაწეობდა შუა აზიაში, კერძოდ ტაჯიკეთში. ამჟამად პენსიაზეა და ზუგდიდში ცხოვრობს. ქობულეთში ცხოვრობს და იღვწის იურისტი ლეო, ხოლო ზუგდიდში —ირაკლი, ეს კეთილად გაპალარავებული ყოფილი პოლიტპატიმარი, აწ უკვე პენსიონერი-პედაგოგი, პირველი დღეებიდანვე მხარში უდგას ეროვნულ მოძრაობას, თავისუფლებისათვის მებრძოლ ზუგდიდის ახალგაზრდობას (ბატონ ირაკლი ქვანიას შესახებ უფრო ვრცლად სხვა დროს გვექნება საუბარი).

1978 წელს, ღრმად მოხუცი წავიდა ჩვენგან ბატონი კაკა. განგებამ 98 წლის სიცოცხლე მიუზომა: არც ერთი წუთი გაუტარებია ზნეობის, ღირსებისა და პატრიოტული შემართების გარეშე.

გარდაცვალებამდე რამდენიმე ხნით ადრე კაკა ქვანიამ მშობლიურ ზუგდიდს ლექსად აკინძული გამოსათხოვარი ამბორი უძღვნა:

„აქ, ზუგდიდში დავიბადე,
დავბერდი,
აქ დავმწვარვარ ისე, როგორც
აბედი.
მე კოლხი ვარ, ასი წელი
ვარწიე,
ქვეყნისათვის ბევრი ჯაფა გავწიე,
ვხარობ, ვტკბები დღეს
ზუგდიდის მშვენებით,
რომ დასჭირდეს ძვლებს
ჩავუშენები"!...

ღმერთმა აცხონოს და სალხინებელში ამყოფოს მარად ღირსმოსაგონარი კოლხი ბერმუხას სული.

ჯამბულ არქანია.

წერილი რედაქციას

# კერძო ტაქსები ჩვენს კონტროლს არ ექვემდებარებიან

## გაზეთ „ოდიშის" კრიტიკულ გამოსვლას პასუხობს მსუბუქი ტაქსომოტორების საწარმოს დირექტორი ზ. ჭ ი თ ა ნ ა ვ ა:

ზუგდიდის მსუბუქი ტაქსომოტორების ავტოსატრანსპორტო საწარმოს მისამართით მიმდინარე წლის ექვს და ოც ივნისს გაზეთ „ოდიშში" გამოქვეყნდა კრიტიკული წერილები: „სად გაქრა ტაქსები" და „თვითნებობენ ტაქსის მძღოლები", აღნიშნულ წერილებში მოყვანილი ფაქტები სწორია, მაგრამ დასახელებული არც პირველი და არც მეორე, ჩვენი საწარმოს ტაქსები არ გახლავთ. კერძო ტაქსები კი ჩვენი საწარმოს კონტროლს არ ექვემდებარებიან. ამით იმის თქმა კი არ მინდა, რომ მსუბუქი ტაქსომოტორების საწარმოს მძღოლები უცოდველნი არიან და მაღალ კულტურულ დონეზე ემსახურებიან მოსახლეობას. უხეშობაში და გამოძალვაში არც ისინი ჩამორჩებიან ვინმეს.

დღეისათვის ჩვენი საწარმოს მსუბუქი ტაქსების რაოდენობა მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს ქალაქის მოსახლეობის ყოველდღიურ მოთხოვნებს.

უკანასკნელ წლებში ავტომანქანების დიდი რაოდენობა ხანდაზმულობის გამო, როგორც საექსპლოატაციოდ უვარგისი ჩამოიწერა. კიდევ გარკვეული ნაწილი ჩამოწერის მოლოდინშია. ხოლო ახალმისაღები ავტომანქანებით პარკის შევსება სრულიად უმნიშვნელო რაოდენობით ხდება. ასევე ფერხდება არსებული მოძრავი შემადგენლობის მაქსიმალურად გამოყენება, როგორც სათადარიგო ნაწილების, ასევე საწვავ-საცხები მასალებისა და საბურავების სინაკლების გამო.

რაც შეეხება კრიტიკულ წერილში აღნიშნულ საკითხს, რომ ბენზინი მანეთად და უფრო მაღალ ფასებში იყიდება ბენზინის გასამართ სადგურებში, ეს ჩვენს კონტროლს არ ექვემდებარება. და თუ იგი სადმე დამახინჯებულ ფასებში იყიდება, ასეთი შემთხვევები დააქტებული და ფიქსირებული უნდა იყოს კონტროლის უფლების მქონე ორგანოთა წარმომადგენლის მიერ. სხვაგვარად ვერვის ვერაფერს მოსთხოვ და ვერ დასჯი. ასევე საწარმოს არა აქვს უფლება ბენზინი გასამართ სადგურებიდან და სხვა პუნქტებიდან თუნდაც სახელმწიფო ფასებში ნაღდ ანგარიშზე შეიძინოს ან აიძულოს მძღოლი დანაზოგი თანხით იყიდოს საწვავი.

ჩვენი ქალაქისა და რაიონის მოსახლეობის მსუბუქი ტაქსებით მომსახურების მოთხოვნები მინიმუმამდე რომ დაკმაყოფილდეს (ე. ი. ყოველ 10-15 წუთში გაჩერებებზე უნდა შემოვიდეს თუნდაც 2-3 ტაქსი) საჭიროა ყოველდღიურად ხაზზე გავიდეს 150-მდე ავტომანქანა, მაშინ, როდესაც არსებული მოძრავი შემადგენლობიდან მათი რიცხვი გეგმიურად ორმოცს არ აღემატება.

რაც შეეხება კერძო ტაქსების საქმიანობას, რომელთა რაოდენობა ქალაქისა და რაიონის ტერიტორიაზე მრავალრიცხოვანია, ჩვენს საწარმოსთან მას არავითარი კავშირი არ გააჩნია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რამდენიმე ერთეულს, რომლებიც დასაქმებულნი არიან „მცირე საწარმოში" და ემორჩილებიან საწარმოს წესებს.

კერძო ტაქსების დიდი რაოდენობა გარეგნული გაფორმებით, გარდა სახელმწიფო ნომრებისა არაფრით განსხვავდებიან სახელმწიფო ტაქსებისაგან, რაც მგზავრთა დიდ ნაწილს აბნევს. ამის მაგალითს წარმოადგენს კრიტიკული წერილი „თვითნებობენ ტაქსის მძღოლები". აღნიშნულ წერილში დასახელებული ავტომანქანა (სერია პ 46—38 გ. გ.) კერძო ტაქსია და ვიმეორებ ჩვენი საწარმოს კონტროლს არ ექვემდებარება.

გაზეთ „ოდიშში" მიმდინარე წლის 6 და 20 ივნისს გამოქვეყნებული კრიტიკული წერილებიდან გამომდინარე, საწარმოს ადმინისტრაციამ სათანადო ღონისძიებების გასატარებლად შეიმუშავა სამოქმედო გეგმა დარღვევა-ნაკლოვანებების სალიკვიდაციოდ.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია ქალაქისა და რაიონის ტერიტორიაზე დასაქმებული კერძო ტაქსების მუშაობას სათანადო ხელმძღვანელობას და კონტროლს უწევდნენ ტრანსპორტის დარგის მუშაკები, რათა მათი გამოყენება ხდებოდეს დაწესებულ გაჩერებებზე მგზავრთა ნაკადის გათვალისწინებით. ამ მიმართულებით აუცილებელია ყველა სახის მსუბუქი ტაქსების მფლობელი ორგანიზაციებისა და ჩვენი საწარმოს ერთობლივი შეთანხმებული მუშაობა.

სპორტი

# გოჩა თორია — სპორტის ოსტატი

გოჩას ჭადრაკის თამაში ბავშვობის წლებიდან იზიდავდა. ფიგურების სვლებსა და თამაშის წესებს ოთხი წლის ასაკში გაეცნო. მისი პირველი საჭადრაკო ნაბიჯების გადადგმაში და შემდგომ დაოსტატებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სპორტის ოსტატმა ნუგზარ შოგირაძემ. მოძლეარმა შეგირდი შეაჩვია დაძაბულ გონებრივ შრომას და ლოგიკური ამოცანის გადაწყვეტას. ნორჩი მოჭადრაკე მისი მითითებით გაეცნო სპეციალურ ლიტერატურას, სახელმძღვანელოებს, რითაც საშუალება მიეცა საკუთარი გათამაშებული პარტიების ანალიზი გაეკეთებინა. თორმეტი წლის გოჩამ პირველი თანრიგის ნორმა შეასრულა, ხოლო თხუთმეტი წლისამ მოსკოვში მოსწავლეთა სპარტაკიადის ფინალში, სადაც გამოდიოდნენ მოსკოვის, ლენინგრადის და საქართველოს ნაკრები, გოჩამ მეორე ადგილი დაიკავა და ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი შეასრულა.

— ათი წლის ვიყავი, — იგონებს გოჩა, — როცა ყველაზე სამახსოვრო პარტია ვითამაშე. ამაზე ვრცლად დაიწერა გაზეთ „კომუნისტში" სათაურით: „ავტორი ათი წლისაა".

ნაყოფიერი გამოდგა ჩემთვის 1982 წელი. საქართველოს ნაკრებ გუნდთან ერთად მესამე საპრიზო ადგილი (ბრინჯაოს მედალი) ავიღე, სადაც მონაწილეობდნენ ნანა იოსელიანი, ციალა ქასოშვილი, გია გიორგაძე. 1987 წელს — მეორე-მესამე ადგილი გავიყავი ამიერკავკასიის პირველობაზე.

გოჩა თორიამ სამჯერ შეასრულა სპორტის ოსტატობის ნორმატივი. მიუხედავად ამისა მოსკოვმა მაინც გააჭიანურა მისთვის სპორტის ოსტატის წოდების მინიჭება. მხოლოდ 1991 წლის აპრილის თვეში მას მიენიჭა ეს საპატიო წოდება.

გოჩამ დაუღალავი შრომით, ძიებით შეძლო წარმატებების მიღწევა, 1980 წელს დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი, ხოლო 1991 წელს — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.

ახალგაზრდა მოჭადრაკის ნიჭიერებაზე, პერსპექტივაზე მოგვითხრობენ მის სამუშაო ოთახში გამოფენილი ქების სიგელები, დიპლომები, პრიზები, ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე გამოქვეყნებული მასალები.

ჩვენი სახელოვანი თანამოქალაქე ამჟამად წარმატებით თამაშობს ტურნირებში და ზუგდიდის სპორტსკოლის მთავარი მწვრთნელია.

ჭადრაკის სიყვარული გოჩას მთელი სიცოცხლე გაჰყვება. მას სწამს, რომ დიდი ტრადიციების მქონე მშობლიურ ქალაქში ფრთას გაშლიან ნორჩი მოჭადრაკეები. თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველოს სამფეროვანი დროშის ქვეშ დარაზმულები ამაყად ივლიან სპორტული დიდების გზით.

კლარა ფაჩუაშვილი.

ძალისხმევას პლუს გონიერება

# გაორკეცებული შრომა მოგვიწევს

განგარიშება ცხადყოფს, რომ მსოფლიოს მოსახლეობის ძალზე დიდი ნაწილი ფიზიოლოგიური ნორმით გათვალისწინებულზე ნაკლებ სურსათს მოიხმარს. გაეროს მონაცემებით, პლანეტის მოსახლეობის ერთი მეათედი შიმშილობს, განვითარებად ქვეყნებში (ჩინეთის ჩაუთვლელად) ცხოვრობს მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი, რომლებიც მსოფლიოს მთელი მარცვლეულის მხოლოდ 31 პროცენტს აწარმოებენ, მაშინ, როდესაც განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების მოსახლეობის 17 პროცენტზე იწარმოება მსოფლიოს მთელი მარცვლეულის 32 პროცენტზე მეტი.

* * *

მსოფლიოში სურსათის დღევანდელი მდგომარეობის ანალიზი მომავლისათვის ბევრ საფიქრალს აჩენს. ამ მიმართულებით ფართო პროგნოზული მეცნიერული გაანგარიშებანი ტარდება. მაგალითად, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის კომისიის სპეციალისტებმა შეიმუშავეს 2000 წლისათვის სოფლის მეურნეობის განვითარების გრძელვადიანი პროგნოზები. მისი ავტორები იმ მოსაზრებებს ეყრდნობიან, რომ 2000 წლისათვის მსოფლიოს მოსახლეობა ექვს მილიარდამდე გაიზრდება (ამჟამად 5,2 მილიარდია). თუ ამ დროისათვის შენარჩუნებული იქნება სურსათის მოხმარების თანამედროვე დონე, საჭირო გახდება მისი წარმოების 50 პროცენტით გაზრდა. თუ ამ პერიოდში სურსათის წარმოების ზრდის ტემპები უცვლელი დარჩება, მაშინ პლანეტაზე იშიმშილებს 600 მილიონი კაცი, მეტწილად განვითარებად ქვეყნებში, რადგან ისინი დამოუკიდებლად ვერ დაიკმაყოფილებენ სურსათზე მოთხოვნილებას. პროგნოზული გაანგარიშებით მტკიცდება, რომ სურსათით მსოფლიო მოსახლეობაზე უზრუნველსაყოფად სულ მცირე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გაორკეცება საჭირო.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

## ზუგდიდელ ნარდის მოყვარულთა საყურადღებოდ!

პირველად ჩვენს ქალაქში კოოპერატივი „იღბალი" 7 ივლისს კვირას (შემდგომ ყოველ კვირა დღეს) აწყობს შეჯიბრებას მოკლე ნარდში.

პასპორტით რეგისტრაცია და დაწვრილებითი ცნობების გაცემა იწარმოებს ყოველდღე, გარდა შაბათ-კვირისა 9-დან 14 საათამდე.

შეჯიბრებაში გამარჯვებული პრიზის სახით მიიღებს 10000 (ათიათას) მანეთს.

მონაწილეთათვის შესატანი თანხა 500 მანეთია.

იჩქარეთ, მონაწილეთა რაოდენობა ფრიად შეზღუდულია.

მისამართი: ქ. ზუგდიდი, მოსკოვის ქ. №8. ტრესტ №12-ის სპორტკომპლექსი.

კოოპერატივის გამგეობა.

## კოოპერატიული ავტოსკოლა „მესაჭე"

კოოპერატიული ავტოსკოლა „მესაჭე" იღებს მსურველებს, რომელთაც სურთ დაეუფლონ მსუბუქი ავტომანქანის მართვას. თეორიული მეცადინეობა მოეწყობა, როგორც დღის, ასევე საღამოს საათებში. მეცადინეობის ხანგრძლივობა 1,5 თვე.

პრაქტიკული სწავლება მოეწყობა მსმენელთათვის სასურველ დროს, ამასთანავე პრაქტიკული სწავლების დროს მძღოლ-ინსტრუქტორი მსმენელს მიაკითხავს მის მიერ მითითებულ მისამართზე (ბინაზე ან სამსახურში).

თქვენ მოგემსახურებათ მაღალკვალიფიცირებული პედაგოგები და მძღოლინსტრუქტორები მსუბუქი მარკის ავტომობილებით.

ავტოსკოლაში მიიღებიან ქ. ზუგდიდის, ზუგდიდის რაიონის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, მესტიის რაიონების მცხოვრებლები.

ავტოსკოლაში შესვლის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ სამედიცინო ცნობა („ფსიქო") და სამი ცალი სურათი 3X4. საბუთები მიიღება 10 საათიდან 16 საათამდე. შაბათ-კვირის გარდა ყოველდღეს.

სწავლის ქირის გადახდა შეიძლება, როგორც ნაღდ-ანგარიშზე, ასევე გადარიცხვით.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ შემდეგი მისამართით: ქ. ზუგდიდი, სოხუმის ქ. №2. პოლიტექნიკური ტექნიკუმის შენობა, პირველი სართული, ოთახი 64,

ავტოსკოლა „მესაჭე".

## ქ. გ. ეფენია

გარდაიცვალა ომისა და შრომის ვეტერანი, აგრონომი კონსტანტინე გრიგოლის ძე ეფენია.

იგი დაიბადა 1915 წელს. დაამთავრა სენაკის სასოფლო სამეურნეო ტექნიკუმი. სხვადასხვა დროს, მუშაობდა ზუგდიდის სოფლის მეურნეობის განყოფილების უბნის აგრონომად, ანაკლიის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, პარტიული ორგანიზაციის მდივნად, ჩაის ფილიალში აგრონომად.

წავიდა ჩვენგან ვალმოხდილი ადამიანი, რომლის ნათელი ხსოვნა დიდხანს შემორჩება სოფელს, მეგობრებსა და ამხანაგებს.

ანაკლიის მეურნეობის შრომითი კოლექტივი.

რედაქტორი აკ. ჭანტურია.

მეუღლე ნადია. შვილები ზაირა, ნუგზარი. თეზიკო. ინეზა. მზია, პაატა, და ნუცა, ძმები ვანიჩკა, ლუდუკი, გივი, რძლები: მზია, ვინარი, ბელიშა. დიანა, ნაზი. სიძეები: შალვა სორდია, კოტე ასათიანი, მურმან ხაბურზანია, კარლო ჯახაია, გენო ლიჩნიუკი, კახა მიქაია, ხოხო ხასაია, ვალოდია ბოხუა, სერაპიონ თორია. შვილიშვილები: ირმა, ჯილდა, ლევან ჯალაღონიები, მედეა, ზაზა სორდიები, ნინო, კახა ასათიანები, კობა ჯახაია, ლონდა, გიგა ხაბურზანიები, ცოლისდები ლენა, ბუცა, ცოლისძმა არისტრახო თოდუა. მზახლები: ნაზი და ყორა კორსანტიები, დისშვილები, ძმისშვილები, ბიძაშვილები. დეიდაშვილები, მამიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**მევონა ლეონტის ძე ჯალაღონია.**

პანაშვიდი 3, 4, 5 ივლისს. დაკრძალვა 6 ივლისს სოფ. განმუხურში.

მეუღლე ვენერა გუჯუჩია. შვილები: ტარიელი. ელგუჯა. დები: ვენერა, თინა. ძმა ლუდა, შვილიშვილები ანჟელა, თამარი. ნიკო. ნინო, რძლები მათუთა, მერი ეთერი, სიძეები იონა ჩახაია, ხუტა ხარლამპიდი, რეზო ჯვასალია, თემურ წითურია, დის შვილები: ჟანა. ოთარი, თორნიკე ჩახაიები, ნანა. თამარი. ირაკლი ხარლამპიდები, ძმისშვილები ნესტანი. ელისო. კონსტანტინე, გია, ზურაბი. ანზორი ქანთარიები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები და ახლო ნათესავები ოჯახებით იუწყებიან

**ბოჩია ვლადიმერის ძე ქანთარიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 3, 4, 5 ივლისს. დაკრძალვა 6 ივლისს ქ. ზუგდიდში. გამოსვენება კოლხიდის ქ. 14-დან (ყოფილი ლენინის).

ქალაქის №2 აფთიაქის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გენო შოთას ძე კანკია**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

შვილები: მერი, ბუჯელა ჩიკვატიები, ლუდა ალფენიძე, რძლები ეთერი ქარდავა, ფაციკო ახვლედიანი. ია კვიტაია. სიძეები დავით შეროზია, თემურ კუკავა, მურადი მურუსიძე. გულივერ ესართია, შვილიშვილები: ნარი, მანანა, ლალი. მარინე, ლაურა. ანჟელა. ფელიქსი. ომარი. გიორგი, შვილთაშვილები ნათია, ზვიადი. ნანა. დათო. გიორგი. ბიძაშვილები: მერი, გიგი ორზოლიები, გიგლა. ვლადიმერ შენგელაიები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები იუწყებიან

**თამარა (ცირუ) ცატუს ასულ ორზოლია-ჩიკვატიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 4, 5, 6 ივლისს. დაკრძალვა 7 ივლისს ორსანტიაში.

შვილები: ლუარა, შალიკო, გენო. რძლები: დოდო აქუბარდია, გოგუცა ჩახაია, მერი კაკაბაძე, მანანა ქურსუა. ნელი ზაქარაია, სიძე ალიკო თოდუა. შვილიშვილები: მამუკა. ბესო, ილო, ვაჟა, ნათია, მაკა, ნინო მალიჩავები, ვიტალი თოდუა. დისშვილები: გივი, კახა თორიები, ქეთო, ლულიკო. გოგი ქვარაიები, ეთერი ეთერია. ძმისშვილი ზაურ ტაბალუა, დეიდაშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

**ლენა (მანია) ვლადიმერის ასულ ტაბალუა-მალიჩავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 4, 5 ივლისს. დაკრძალვა 6 ივლისს სოთ. ორსანტიაში.

შვილები: ლაქუნა, გენადი, ბოჩია, დები მარგო, მავრა, ძმა ცაქვა, რძლები: ტატუშა, ვალია. თამარა. მოკონა. დოდო, სიძეები: ელგუჯა დვალი, შოთა ჯლარკავა, დური ნაჭყებია, ზურაბ არქანია. შვილიშვილები: ნანა, ეკა. ნინო. გია. მიმოზა. ლუიზა, ოთარი. გურამი. პაწია. ძმისშვილები, დისშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ახლო ნათესავებით იუწყებიან

**შუშანიკა მიხას ასულ კუკავა-თოდუას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 2, 3 ივლისს. დაკრძალვა 4 ივლისს სოფელ რუხში, გამოსვენება ნატანების ქ. 8.

შვილები: მალალო. პალიკო, ანზორი, გურამი. ველოდი. ლილი, რძლები: დინარა კუკავა, ნანული ჯალაღონია, ნინელი ფარცვანია. სიძეები: როინი გაბელია, გოჩა მოსია. ძმები: ბოჩო, საშა ჭკადუები, დები ოლია, ქსენია, ქეთო. შვილიშვილები: ჯული. მერაბი, მზია, მანანა ქირიები, მადონა, მარინა, კახა გაბელიები. შვილთაშვილი თამთა მოსია, ძმისშვილები, დისშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**დავარი რაჟდენის ასულ ჭკადუა-ქირიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 2, 3 ივლისს, დაკრძალვა 4 ივლისს, გამოსვენება 17 საათზე ქ. ზუგდიდი, ჩუკოვის ქუჩის 1-ლი შესახვევი 4-დან.

მეუღლე მარგო, შვილები: ნანული, ციალა. თამაზი და მარგალიტა, რძალი თინა თორდია, სიძეები რეზო ტორჩინავა. ომარი მოსიძე. შვილიშვილები: დათო, გია. ფელიქსი, გოგა, მახო, ლევანი იუწყებიან

**არველოდ (არვე) აკაკის ძე ბულიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 3, 4. 5 ივლისს. დაკრძალვა 6 ივლისს რუხი, ნაწულუკუს სასაფლაოზე.

ანაკლიის მეციტრუსეობის მეურნეობის კოლექტივი იუწყება ომისა და შრომის ვეტერანის

**კონსტანტინე გრიგოლის ძე ეფენიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე ნარგიზა. შვილები: ნონა, ნანული, დები: ლეილა, ჟენია, ბიცოლა ლიდა სორდია, მამიდა ჟიჟინო, დეიდა ქსენია. ბიძია თომა ჯგვიშია, სიდედრი ფუშა გუჯია, შვილიშვილი ვახო ჯალაღონია, მზახალი ნათელა ჯალაღონია, რძალი ციცანა, სიძეები ზური ჯალაღონია. ჟორჟი გიგებერი, ჟორა კვარაცხელია, ბიძაშვილები, დეიდაშვილები მამიდაშვილები და ახლო ნათესავები ოჯახებით იუწყებიან

**ვახტანგ (ტატუჩი) ბიქტორის ძე ნადარაიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 3, 4, 5 ივლისს. გამოსვენება 6 ივლისს ინგირი. გურამიშვილის ქუჩა 3.

ინდექსი 66507 რედაქციის მისამართი: ქ ზუგდიდი, მერაბ კოსტავას ქ 56 ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის 2-33-69, პასუხისმგებელი მდივნის 2-31-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2-21-78. მშრომელთა წერილების 2-25-12, რადიორედაქციის 2-47-03.
საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის ზუგდიდის სტამბა. მერაბ კოსტავას ქ. №56, 2-23-07, ტირაჟი 8000 შეკ. №2678

ეროვნული ბიბლიოთეკა